

დიღმის ტყე-პარკის განვითარების კონცეფცია

ანა მდინარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად*

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა მდინარძე

12.06.2021

აბსტრაქტი

დღევანდელი მოცემულობით თბილისი თანდათან იზრდება და მოსახლეობის მოთხოვნილებებიც მრავალფეროვანია. ამ ფონზე, განსაკუთრებით საყურადღებოა თუ რამდენად საკმარისი და მოწესრიგებული გამწვანებული საზოგადოებრივი სივრცე აქვს ქალაქს. დიღმის ტყე-პარკი ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი მწვანე სივრცეა, რომელიც არსებული მდგომარეობით გამოცოცხლებას საჭიროებს.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანს დიღმის ტყე-პარკის არსებული მდგომარეობის შესწავლა და მისი განვითარების კონცეფციის შემუშავება წარმოადგენდა. კვლევის პროცესში მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორაცია გამოიკვეთა. როგორცაა საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობა და მრავალი პრობლემა.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია საპროექტო ტერიტორიაზე ვიზიტებს, არსებული გარემოს დაფიქსირება/შესწავლასა და მოსახლეობის გამოკითხვას ეფუძნებოდა.

ტყე-პარკის შესწავლისას გამოიკვეთა ისეთი სახის პრობლემები, როგორცაა: გარემოს დაბინძურება, მოუწესრიგებელი საფეხმავლო ბილიკები, ინფრასტრუქტურის არ არსებობა და არაუსაფრთხო გარემო. არსებული პრობლემების გამოვლენის შემდგომ ნაშრომში ასევე მოცემულია მათი მოგვარების იდეები, რომლის მიზანია ტყე-პარკის გამოცოცხლება, საინტერესო საზოგადოებრივი სივრცის შექმნა და მისთვის ახალი როლის მიცემა ქალაქის ცხოვრებაში.

საკვანძო სიტყვები: თბილისი, დიღმის ტყე-პარკი, გამწვანებული სივრცე, მოსახლეობის გამოკითხვა, საზოგადოებრივი სივრცე